

ფიზიკური და სოციალური საკლასო გარემო საქართველოს საჯარო სკოლებში

ანასტასია ქიტიაშვილი

ასოცირებული პროფესორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჭავჭავაძის გამზირი # 1

რეზიუმე

კვლევა შეეხება ფიზიკური და სოციალური საკლასო გარემოს კვლევას საქართველოს საჯარო სკოლებში. კვლევა ჩატარდა საქართველოს მასშტაბით 106 სკოლაში, რაოდენობრივი და თვისებრივი დაკვირვება კი - 292 გაკვეთილზე. კვლევაში გამოვლინდა ფიზიკური და სოციალური საკლასო გარემოს დადებითი მხარეები და ის ნაკლოვანებები, რომელიც სამომავლო რეაგირებას საჭიროებს. ასეთ საკითხებს შორისაა: ფიზიკური გარემოს ორგანიზება აქტიური სწავლების მოთხოვნების შესაბამისად, პოზიტიური ფიზიკური გარემოს შექმნის აუცილებლობა, ფიზიკური ბარიერების შემცირება კომუნიკაციის პროცესში, თანამშრომლობითი სწავლების, მოსწავლეებს შორის გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და კომუნიკაციის წახალისება. კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც სისტემის, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე.

საკვანძო სიტყვები: ფიზიკური საკლასო გარემო, სოციალური გარემო, სწავლა, სკოლა.

კვლევის მიზანია კლასში არსებული ფიზიკური და სოციალური გარემოს შესწავლა საქართველოს საჯარო სკოლებში. სტატიაში გამოყენებულია კვლევის მონაცემები, რომელიც 2011 წელს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ჩატარა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, დღეისათვის დიდი ყურადღება ექცევა იმ გარემოს შესწავლას, რომელშიც სწავლა-სწავლების პროცესი, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობა მიმდინარეობს. გარემოში იგულისხმება როგორც ფიზიკური სივრცე, ასევე სოციალური ურთიერთობები და ქსელები.

ეფექტური სწავლება შეუძლებელია პოზიტიური ფიზიკური გარემოს გარეშე ამიტომ, მნიშვნელოვანია საკლასო ოთახის ფიზიკური გარემოს ეფექტიანად დაგეგმვა და მოწყობა. კვლევები ადასტურებს, რომ ფიზიკური გარემო არსებით გავლენას ახდენს როგორც მოსწავლეების, ასევე მასწავლებლების ქცევაზე (Savage, 1999; Stewart & Evans, 1997; Weinstein, 1992); ეფექტურად სტრუქტურირებული გარემო აუმჯობესებს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, სწავლის მოტივაციას (MacAulay, 1990; Walker, Colvin, & Ramsey, 1995; Walker & Walker, 1991) და გავლენას ახდენს მათი მოლოდინების, მიზნების ჩამოყალიბებასა და სკოლასთან შეგუაბეზე (Eccles, Wigfield, & Schiefele, 1998). კვლევების მიხედვით მოსწავლეებს მოსწონთ მიმზიდველი, ფერადი, სასიამოვნო, მეგობრული, უსაფრთხო საკლასო სივრცე, რომელშიც მათ სწავლის გარდა, შეუძლიათ თავისუფალად გადააგილება და ურთიერთ-კომუნიკაცია. ფიზიკური სასწავლო გარემო საკმაოდ ფართო ცნებაა; ამ სტატიაში ნაკვლევია საკლასო გარემოს შემდეგი ასპექტები: საკლასო ოთახის სივრცის ორგანიზება, მერხების განლაგება, განათება და ხმაური, კლასში არსებული ვიზუალური მასალები.

სწავლა სოციალური ფენომენია; მის ეფექტურობაზე მოქმედებს სოციალური გარემო როგორც მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის, ასევე მოსწავლეებს შორის ურთიერთობა. კლასში სოციალური გარემოს შექმნაზე დიდ გავლენას მასწავლებელი ახდენს; კერძოდ, იმის მიხედვით, თუ როგორ ურთიერთობს იგი მოსწავლეებთან, კლასის მართვის რა მიდგომებს იყენებს, რამდენად უწყობს ხელს მოსწავლეებს შორის კომუნიკაციას, მათ შორის გამოცდილების გაზიარებას და ა.შ. ეფექტური სწავლა-სწავლება დამოკიდებულია არა მხოლოდ სასწავლო მიზნების შესაბამისი სწავლება-შეფასების მეთოდების გამოყენებაზე, არამედ სწავლების მიზნების ადეკვატური სოციალური გარემოს შექმნაზეც. გამოყოფენ სოციალური გარემოს სამ ტიპს: კონკურენტულს, თანამშრომლობითსა და ინდივიდუალისტურს. კონკურენტულია სოციალური გარემო, როდესაც მოსწავლეები ცდილობენ სხვებზე უკეთ შეასრულონ დავალება, ხოლო მასწავლებელი წყვეტს რომელი პასუხია სწორი. თანამშრომლობითია გარემო, როდესაც მო-სწავლეები დასახული მიზნის მისაღწევად თანამშრომლობენ სხვა მოსწავლეებთან; ამგვარი კომუნიკაციის გარეშე მოსწავლე ვერ გადაჭრის ამოცანას. მასწავლებელი მოსწავლეებს უბიძგებს დიალოგისა და თანამშრომლობისაკენ. ინდივიდუალისტურია გარემო, როდესაც მასწავლებლის მიერ დასმული ამოცანის გადასაჭრელად მოსწავლეები დამოუკიდებლად მუშაობენ და დასმულ ამოცანებს საკუთარი მოსაზრების მიხედვით ჭრიან (Borich, 2007). კვლევები აჩვენებს, რომ სოციალური გარემო, რომელიც მოსწავლეებს შორის თანამშრომლობასა (Ryan & Patrick, 2001) და მათ შორის გამოცდილების გაზიარებას უწყობს ხელს, პოზიტიურ გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე.

მეთოდი

შერჩევა

კვლევა ჩატარდა თბილისსა და საქართველოს ათივე რეგიონში, 106 სკოლაში (44 ქალაქის და 62 სოფლის/მთის) და დაკვირვება - 292 გაკვეთილზე. შერჩევისათვის გამოყენებული იყო მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევის მეთოდი.

კვლევის მეთოდები და პროცედურა

კვლევაში გამოყენებული იყო რაოდენობრივი და თვისებრივი დაკვირვების მეთოდები.

რაოდენობრივი დაკვირვება ხდებოდა კლასის მართვაზე, ფიზიკურ სასწავლო გარემოსა და საგანმანათლებლო რესურსებზე. საკლასო სივრცის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად გამოყენებულ იყო "კლასის რუკის" მეთოდი.

თვისებრივი დაკვირვება მოიცავდა შემდეგ საკითხებს: საკლასო ატმოსფერო; მასწავლებლის კომუნიკაცია მოსწავლეებთან; სწავლება-შეფასების პროცესებთან დაკავშირებული საკითხები.

მონაცემების შეგროვებაში მონაწილეობდა 13 მკვლევარი, რომლებიც კონკურსის საფუძველზე შეირჩნენ. კვლევის დაწყებამდე მათ ჩაუტარდათ ტრენინგი კვლევის ინსტრუმენტების გამოყენებაზე და გადაეცათ კვლევისთვის საჭირო სპეციალური აღჭურვილობა.

თითოეულ სკოლაში საგაკვეთილო პრაქტიკას წყვილად აკვირდებოდა ორი მკვლევარი.

მკვლევრები გაკვეთილებს სპეციალურად შემუშავებული ფორმის მიხედვით აკვირდებოდნენ (რაოდენობრივი დაკვირვების მეთოდი). თვისებრივი დაკვირვების მონაცემები იწერებოდა სპეციალურად კვლევისათვის შექმნილ ჟურნალში.

კვლევის პროცესში სრულად იყო დაცული მასწავლებლების ანონიმურობა. დაკვირვების მასალა კოდირებული იყო, რაც არ იძლეოდა კონკრეტული მასწავლებლის თუ სკოლის იდენტიფიცირების საშუალებას.

კვლევის შედეგები


მონაცემებზე ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი. მონაცემების რაოდენობრივი ანალიზი ჩატარდა სტატისტიკური პროგრამის SPSS-ის საშუალებით (ვერსია 19.0). თვისებრივი მონაცემები დამუშავდა კონტენტ-ანალიზის მეშვეობით.

მონაცემები გაანალიზებულია ქალაქისა და სოფლის/მთის სკოლების მიხედვით.

ფიზიკური საკლასო გარემო

კვლევამ აჩვენა, რომ საკლასო ოთახების უდიდეს ნაწილში (92.0%) მერხები ტრადიციულად, რიგებად იყო განლაგებული. მერხების წინ იდგა მასწავლებლის მაგიდა და კედელზე ეკიდა დაფა. საკლასო ოთახების 8.0%-ის შემთხვევაში მერხები წრიულად ან მცირე ჯგუფებად იყო განლაგებული. საკლასო ოთახში მერხების განლაგება მსგავსი იყო ქალაქისა და სოფლის სკოლებში.

ტიპური კლასის რუკა ასეთია



ნახ. 1. სივრცის ორგანიზება საკლასო ოთახში.

მერხების, სკამებისა და მაგიდების ამგვარი განლაგება ტრადიციულ სწავლებას უფრო შეესაბამება, ვიდრე აქტიურს. პოზიტიურია ის, რომ მერხების უმეტესობა ერთადგილიანი იყო, რაც მათი ადვილად გადაჯგუფების შესაძლებლობას იძლეოდა.

თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ კლასების მხოლოდ 1/5-ში იყო მერხები ფართოდ განლაგებული, ნახევარზე მეტში - ნორმალურად, ხოლო დანარჩენში - მჭიდროდ, რაც ართულებდა ან შეუძლებელს ხდიდა მერხების გადაადგილებას, მით უფრო დიდი ზომის კლასებში. მერხების უმრავლესობა (90.2%) მოსწავლის სიმაღლის შესაბამისი იყო, მერხების 8.7% დაბალი, ხოლო 1% - მაღალი. მერხების შესაბამისობა მოსწავლეების სიმაღლესთან სტანდარტული პროცედურით განისაზღვრა.

კლასების უდიდესი რაოდენობა (89.7%) ნორმალურად იყო განათებული. საკლასო ოთახში საშუალოდ იყო 3 ფანჯარა. რადგან კვლევა ძირითადად მაისის თვეში ჩატარდა, ტემპერატურა არ ყოფილა კვლევის თემა.

დაკვირვების 64.9% შემთხვევაში კლასში ხმაური არ დაფიქსირებულა. ხმაურის შემთხვევაში ხმაური შემოდიოდა ქუჩიდან, დერეფნიდან, ან მეზობელი ოთახიდან; 8.6%-ის შემთხვევაში თავად მოსწავლეები ხმაურობდნენ.

კვლევის პროცესში ყველა საკლასო ოთახში ეკიდა დაფა, გარდა ერთისა, თუმცა უმეტესად მისი ხარისხი იყო დაბალი და ნაწერის გარჩევა ჭირდა.

მდგომარეობა მასალის ვიზუალურად წარმოდგენის მხრივ ძალზე ცუდი იყო. საკლასო ოთახების კედლებზე ძირითადად, გაკრული იყო დიდი რაოდენობის ისეთი ვიზუალური მასალა, როგორცაა: პლაკატები, საორგანიზაციო კუთხე, ქართველი პოეტებისა და მწერლების პორტრეტები (უფრო ხშირად ი. ჭავჭავაძის), საქართველოს რუკა, საათი (რომელთა უმეტესობა ან არ მუშაობდა, ან არასწორ დროს აჩვენებდა), მოსწავლეების ნახატები და ა.შ. ძალიან იშვიათი იყო შემთხვევები, როდესაც კლასში არაფერი იყო გაკრული (იხ. ცხრილი #1). სოფლისა და ქალაქის სკოლებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირდა.

ცხრილი #1. საკლასო ოთახის კედელზე გაკრული/ჩამოკიდებული ნივთების ნუსხა

#	კედელზე გაკრული საგნები	%
1	პლაკატი	46.2
2	საორგანიზაციო კუთხე	29.8
3	ქართველი პოეტებისა და მწერლების პორტრეტები	27.1
4	საქართველოს რუკა	26.4
5	საათი	23.3
6	მოსწავლეების ნახატები	23.3
7	საეკლესიო კუთხე/ხატი	22.3
8	მსოფლიო რუკა	18.5
9	გაკვეთილების ცხრილი	17.5
10	მოსწავლის ქცევის კოდექსი	15.4
11	ცხოველების, ფრინველების სურათები, სხვადასხვა პეიზაჟი და ა.შ	12.0
12	მოსწავლეების ნამუშევრები (გობელენი, აპლიკაცია და ა.შ)	12.0
13	ტანსაცმლის საკიდები	10.3
14	საქართველოს დროშა და გერბი	11.3
15	ქართული ანბანი	8.9
16	ანბანი სხვა ენაზე	6.5
17	კალენდარი	6.2
18	მენდელეევის ცხრილი	5.1

19	სახელმწიფოს ჰიმნის ტექსტი, დროშა, გერბი	5.1
20	ქართველი მეფეების პორტრეტები	4.8
21	გამრავლების ტაბულა	4.8
22	თარო/თაროები	4.8
23	სარკე და პირსახოცი	4.5
24	შეფასების კრიტერიუმები, კომპონენტები	4.1
25	შახაზავი	4.1
26	მსოფლიოს ღირსშესანიშნაობები	3.4
27	საეკლესიო კალენდარი	2.4
28	არაფერი	2.4
29	მეცნიერების პორტრეტები	1.7

უმეტეს შემთხვევაში, საკლასო ოთახის ფანჯრის რაფებზე არაფერი ეწყობა. ველაზე ხშირად გვხვდებოდა ყვავილები და მოსწავლეთა ჩანთები. ცხრილში 2 მოცემულია რაფაზე განლაგებული ნივთების სრული ნუსხა.

ცხრილი #2. საკლასო ოთახის ფანჯრის რაფებზე განლაგებული ნივთების ნუსხა

#	ნივთები	%
1	არაფერი	41.8
2	ყვავილები	30.1
3	ჩანთები	12.7
4	წყლის ბოთლი/ჭურჭელი	6.2
5	წიგნები, რვეულები, ფურცლები	5.8
6	ჩვარი	3.8
7	მოსწავლეთა ტანსაცმელი, ქოლგა და ა.შ	3.1
8	ფანქრების, პასტების ჩასადები	0.7
9	საათი	0.1

გაკვეთილების 62.0%-ის შემთხვევაში კედელზე არ იყო გაკრული საგნის შესაბამისი პლაკატები, ხოლო იქ, სადაც იყო ამგვარი პლაკატები, მათ იყენებდა მასწავლებლების მხოლოდ 18.8%. კიდევ უფრო მწირად, 21.3% -ის შემთხვევაში, იყო წარმოდგენილი საგნის შესაბამისი სხვა ვიზუალური მასალა (მაგ.მაკეტი, მოდელები). ამასთან, აღნიშნული მასალის არსებობის შემთხვევაშიც კი, მას იყენებდა მასწავლებელთა მხოლოდ 14.9 %. მონაცემები მოცემულია ცხრილზე #3.

ცხრილი #3. კლასში არსებული სასწავლო რესურსები

#	სასწავლო რესურსები	არსებობს, მაგრამ არ იყენებენ %	არსებობს და იყენებენ %	არ არსებობს %	სულ %
1	დაფა	24.9	74.7	0.4	100
2	ცარცი/მარკერი	23.5	71.8	4.7	100
3	კედელზე გასაკრავი საგნის შესაბამისი	19.2	18.8	62.0	100

	პლაკატები				
4	საგნის შესაბამისი ვიზუალური მასალა (მაკეტი, მოდელი)	7.4	14.9	78.7	100
5	ფლიპჩარტი	1.9	5.1	93.0	100
6	კომპიუტერი/ლექტოპი	2.3	3.5	94.2	100
7	პროექტორი	0.8	1.1	98.1	100

იგივე ითქმის აღჭურვილობაზე, რაც საჭიროა აქტიური სწავლებისათვის. კლასების 98.1%-ში არ იყო პროექტორი, 94.2% - კომპიუტერი, 94.2%-ში - ფლიპჩარტი. დაფიქსირდა ხუთი პროექტორი და ხუთივე -ქალაქის სკოლაში.

სოციალური საკლასო გარემო

მასწავლებლის მოკლე დახასიათება

კლასში დამკვირვებლის ყოფნა, ცხადია, მოქმედებდა მასწავლებლებსა და მოსწავლეებზე და ცვლიდა მათ ტიპურ ქცევას; მასწავლებლები ცდილობდნენ მაქსიმალურად კარგად წარმოეჩინათ როგორც საკუთარი თავი, ასევე მოსწავლეები. ამდენად, გაკვეთილის ნაკლებ ეფექტურობა ზოგ შემთხვევაში შეიძლება დამკვირვებლის ფაქტორის მიმართ ჭარბი სენსიტიურობითაც ყოფილიყო გამოწვეული. ამიტომ, ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ რეალობასთან გარკვეულწილად მიახლოებულ სიტუაციაზე, თუმცა ეს არ აკნინებს კვლევის ან დაკვირვების მნიშვნელობას. თუ დაკვირვების შედეგად ჩვენ ხელთ გვაქვს სწავლების “საუკეთესო სურათი”, დასკვნა შეიძლება იყოს ის, რომ მასწავლებლებს აქვთ საკმარისი ცოდნა და უნარები, რომ მონდომების შემთხვევაში ეფექტურად ჩაატარონ გაკვეთილი, რაც თავისთავად პოზიტიურია. ამ შემთხვევაში ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს მოსწავლეების მოტივირებაზე, რათა ამგვარმა პრაქტიკამ სისტემატური ხასიათი მიიღოს.

მასწავლებლების უმრავლესობა, 92.7% ქალი იყო. მათი საშუალო ასაკი 47 წელი იყო, მინიმალური ასაკი - 21 წელი, ხოლო მაქსიმალური - 81 წელი ($SD=11.71$). მასწავლებელი საუბრობდა ნათლად და გასაგებად, ის კეთილგანწყობილი და კომუნიკაბელური იყო. მასწავლებელი იყო ამოცანაზე ორიენტირებული და დადებითი დამოკიდებულება ჰქონდა მოსწავლეების მიმართ. იგი ცდილობდა, მოსწავლეებთან დაემყარებინა თვალთ კონტაქტი და ჩაერთო ისინი საგაკვეთილო პროცესში, მაგრამ მოსწავლეების გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებით დიდი ზომის კლასებში, მაინც ყურადღების მიღმა რჩებოდა. მასწავლებლები ცოტა დამაბულები იყვნენ და ღელავდნენ. მასწავლებლების 59.59% - იშვიათად, ხოლო 23.63% ხშირად იღიმებოდა. 16.78% - საერთოდ არ იღიმებოდა და მოღუშული იყო.

გაკვეთილის მიმდინარეობა

კლასში მოსწავლეთა რაოდენობა საშუალოდ 19 ბავშვი იყო ($SD=8.35$; მინიმალური რაოდენობა 2 მოსწავლე, მაქსიმალური- 50), რაც 2011-16 წლებისათვის განსაზღვრული ეროვნული სასწავლო გეგმის ნორმას შეესაბამებოდა. თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც კლასში მოსწავლეთა რაოდენობა 35 იყო, რაც კლასის მართვას ართულებდა. ქალაქის სკოლებში კლასში უფრო მეტი მოსწავლეა ($M=23$; $SD=7.38$;

მინიმალური 2 და მაქსიმალური 50), ვიდრე სოფლის სკოლებში ($M= 16$; $SD= 7.72$; მინიმალური 2 და მაქსიმალური 48). საშუალოდ, გაკვეთილს აცდენდა 3 მოსწავლე.

კლასში გოგონებისა და ბიჭების რაოდენობა თითქმის თანაბარი იყო. გაკვეთილების უდიდესი უმრავლესობა ცხრილით განსაზღვრულ დროს დაიწყო (86.6%) და დასრულდა (72.9%). გაკვეთილის ადრე დაწყების მაქსიმალური დრო 5 წუთი იყო, ხოლო დაწყების დაგვიანების მაქსიმალური დრო -10 წუთი. გაკვეთილის ადრე დასრულების მაქსიმალური დრო 1 წუთი იყო, ხოლო გვიან დასრულების - 10 წუთი. ზარის დარეკვის შემდეგ მასწავლებელს ძირითადად ჟურნალში გადაჰქონდა ნიშნები ან აღრიცხავდა გაცდენებს.

მასწავლებელი ყველაზე ხშირად გაკვეთილს პირდაპირ სიის ამოკითხვით იწყებდა, მისალმების გარეშე. ზოგჯერ მასწავლებლები გაკვეთილს მისალმებით ან პირდაპირ გაკვეთილის გამოკითხვით იწყებდნენ.

სასწავლო აქტივობა საერთო ჯამში საგაკვეთილო დროის 76.2%-ს შეადგენდა; აქ შედის შემდეგი აქტივობები: გაკვეთილის ახსნა და შეფასება, დავალების მიცემა და გამოკითხვა, წერა-კითხვა, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა და ა.შ. როგორც მონაცემები გვიჩვენებს, საკლასო აქტივობას მეტი დრო ეთმობა სოფლის სკოლებში (80.3%; ქალაქის სკოლებში -71.9%), ხოლო არასასწავლო აქტივობას – ქალაქის სკოლებში (28.1%; სოფლის სკოლებში -19.7%), რაც კლასში მოსწავლეთა რაოდენობით უნდა იყოს გამოწვეული.

მოსწავლეებს შორის სოციალური ურთიერთქმედება, მოსწავლეების ნაკლები ჩართულობა, მასწავლებლის საკლასო ოთახში არყოფნა და დისციპლინის პრობლემები უფრო მეტად ქალაქის სკოლებში დაფიქსირდა; მართალია, ძალიან მცირე იყო მასწავლებლების სოციალური ურთიერთქმედებისა და მასწავლებლის მიერ დისციპლინაზე დახარჯული დრო, მაგრამ ის უფრო მეტი სოფლის სკოლებში იყო, ვიდრე ქალაქის სკოლებში.

მასწავლებელი გაკვეთილის პროცესში იყენებდა ზეპირ ინსტრუქციებსა და მითითებებს, რაც შედარებით ხშირი იყო გაკვეთილის დასაწყისსა და მის დასასრულს. მასწავლებლები სწორედ ინსტრუქციების დახმარებით ცდილობდნენ მოსწავლეების ყურადღების მიქცევას, რაც ძირითადად, დავალების მიცემასთან და გამოკითხვასთან იყო დაკავშირებული.

გაკვეთილი უმეტეს შემთხვევებში დავალების მიცემით მთავრდებოდა. დაახლოებით 1/5-ზე მეტ შემთხვევაში მასწავლებელი წერდა და აცხადებდა ნიშანს; მასწავლებელთა მხოლოდ 11.3%-მა შეაჯამა გაკვეთილი დასრულებისას. ძალიან იშვიათად სვამდნენ მასწავლებლები კითხვას იმის თაობაზე, იყო თუ არა რაიმე გაურკვეველი. პასუხი ჩვეულებრივ უარყოფითი იყო.

უმეტეს შემთხვევებში გაკვეთილის თემა ნათლად იყო გამოკვეთილი; მასწავლებელი ასახელებდა თემას, ან მოსწავლეებს ეკითხებოდა, რა ჰქონდათ გაკვეთილად. მხოლოდ 3.42%-ს შემთხვევაში იყო რთული იმის გარკვევა, რა საკითხს შეეხებოდა გაკვეთილი.

კლასებში სამუშაო და აქტიური გარემო იყო შექმნილი. მოსწავლეები ხალისით ასრულებდნენ მასწავლებლის მიერ მიცემულ დავალებას, აფიქსირებდნენ საკუთარ მოსაზრებებს, პასუხობდნენ კითხვებზე ან გადიოდნენ დაფასთან.

გაკვეთილების დაახლოებით 1/4 შეფასდა, როგორც მოსაწყენი და მონოტონური. ასეთ გაკვეთილებზე მასწავლებელი ზედმეტად დიდ დროს უთმობდა თითოეულ აქტივობას, არ იყენებდა სხვადასხვა მიდგომას, მუშაობდა მოსწავლეების დიდ

ჯგუფთან და ყურადღების მიღმა რჩებოდა კლასის გარკვეული ნაწილი. მოსწავლეები ერთმანეთთან საუბრობდნენ ან სხვა აქტივობით იყვნენ დაკავებულნი. გაკვეთილების მცირე ნაწილი -3.4% შეფასდა, როგორც მოუწესრიგებელი და ქაოტური. ამ შემთხვევაში მოსწავლეები ქაოტურად პასუხობდნენ მასწავლებელს, ფეხზე დგებოდნენ და მოსაზრებას გამოთქვამდნენ, არ უსმენდნენ არც მასწავლებელს და არც ერთმანეთს. დამკვირვებლებისათვის ძნელი იყო იმის გარკვევა, თუ რას ემსახურებოდა მასწავლებლის მიერ დასახული ამოცანა.

კითხვების დასმა სასწავლო პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. აქ მხოლოდ კითხვების ტიპსა და პასუხის გასაცემად გამოყოფილ დროზე შევჩერდებით. კვლევამ აჩვენა, რომ მასწავლებლები ძირითადად მთელ კლასს უსვამდნენ დახურულ კითხვებს (75.2% დახურული და 24.8% ღია კითხვები) და ღია კითხვების დასმის შემთხვევაშიც საკმაოდ მცირე დროს აძლევდნენ მოსწავლეებს პასუხის გასაცემად. მასწავლებლები კითხვებს ნაკლებად იყენებდნენ მოსწავლეებს შორის დისკუსიის წასახალისებლად.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ მასწავლებლები დროის მცირე მონაკვეთში საკმაოდ ბევრ აქტივობასაც იყენებდნენ. მაგალითად, 5 წუთის განმავლობაში დაფიქსირდა 2-4 აქტივობა, როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური, რაც მოსწავლეების ამოცანაზე კონცენტრაციასა და მათ ჩართულობას უშლიდა ხელს.


მოსწავლეების ჩართვა საგაკვეთილო პროცესში

როგორც ზემოთ აღინიშნა, მასწავლებლები ძირითადად ცდილობდნენ ყურადღება მიექციათ ყველა მოსწავლისათვის (80.14%), თუმცა მასწავლებლების ნაწილს (19.86%-ს) მოსწავლეების გარკვეული ნაწილი მაინც რჩებოდა ყურადღების მიღმა. ეს განსაკუთრებით ხშირი იყო დიდი ზომის კლასებში. დაკვირვების პროცესში დაფიქსირდა პოზიტიური დისკრიმინაციის რამდენიმე შემთხვევა შშმ ბავშვების მიმართ, რომელთა განზოგადებაც, შემთხვევების სიმცირის გამო, მიზანშეწონილი არ არის.

მოსწავლეების ჩართულობა ყველაზე ნაკლებად შეიმჩნევა გაკვეთილის დაწყებისას, პირველი 5 წუთის განმავლობაში და გაკვეთილის დასრულებამდე 5 წუთით ადრე. ამ დროს მოსწავლეები ერთმანეთში საუბრობენ და ნაკლებად უსმენენ მასწავლებელს.

დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მთელი გაკვეთილის განმავლობაში მოსწავლეების დაახლოებით 6.3% იყო ჩართული სხვა, არასაკლასო ტიპის აქტივობაში (ფანჯარაში ყურება, თამაში, სხვა მასალის კითხვა), ხოლო 9.7% ლაპარაკობდა სხვა მოსწავლესთან, იცინოდა, რაც მხოლოდ მცირე ჯგუფებში ხდებოდა (2-4 მოსწავლე). გრაფიკზე ნაჩვენებია (5 წუთიანი ინტერვალების მიხედვით), მოსწავლეთა რა ნაწილი არ არის ჩართული საგაკვეთილო პროცესში, ან საუბრობს სხვა მოსწავლესთან მცირე ჯგუფებში.

ნახ. 2 მიხედვით, მოსწავლეების სოციალური ურთიერთქმედება გაკვეთილის მსვლელობასთან ერთად მატულობს და მაქსიმუმს 30-35 წუთის ინტერვალში აღწევს, თუმცა მოსწავლეების 12%-ზე მეტი არ ერთვება ამგვარ ურთიერთობაში. მოსწავლეების ჩართულობა ყველაზე მაღალია ბოლო 5 წუთის განმავლობაში. ამ დროს მოსწავლეები ერთმანეთში საუბრობდნენ და ნაკლებად უსმენდნენ მასწავლებელს, თუმცა ასეთი მოსწავლეების რაოდენობა 8.0%-ზე ნაკლები იყო.



ნახ. 2 მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესში არჩართვა და სოციალური ურთიერთობა 5-წუთიანი ინტერვალების მიხედვით.

გაკვეთილების უმეტესობაზე არ იყო წესრიგის პრობლემა, ნაკლები იყო ხმაური და გაკვეთილი მოწესრიგებულად მიმდინარეობდა. ამ შემთხვევაშიც კვლავ გასათვალისწინებელია დამკვირვებლების ყოფნა საკლასო ოთახში. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის არსებობდა უკვე დამკვიდრებული ნორმები, რომელსაც მოსწავლეები იცავდნენ. მაგალითად, პასუხის დროს ხელის აწევა, ნებართვის გარეშე მერხიდან ადგომა ან დაფასთან გასვლა, რვეულების ან რაიმე მასალის დარიგებისას მასწავლებლის დახმარება და ა.შ.

დისციპლინის პრობლემის შემთხვევაში მასწავლებელი იყენებდა სხვადასხვა მიდგომას: მოსწავლეებს მოუწოდებდა წესრიგის დამყარებისაკენ, ახსენებდა მათ ქცევის წესებს, წესრიგის დამრღვევ მოსწავლეს მიმართავდა სახელით, მიანიშნებდა მიმიკით. მასწავლებელი იშვიათად უწევდა ხმას.

დაკვირვების პროცესში არც ერთ გაკვეთილზე არ დაფიქსირებულა ფიზიკური დასჯის შემთხვევა; არც მოსწავლის კუთხეში დაყენება და არც კლასიდან გაძევება. საერთოდ, მასწავლებლები თითქმის არ ეხებოდნენ მოსწავლეებს ხელით, არც დასჯის და არც წახალისების მიზნით.

დაკვირვების მონაცემები გვიჩვენებს, რომ მასწავლებლები ძირითადად დადებით უკუკავშირს (როგორც ვერბალურს, ისე არავერბალურს) აძლევენ მოსწავლეებს. გაკვეთილის განმავლობაში, საშუალოდ, დაფიქსირდა 9 დადებით სიტყვიერი (მინიმალური 0, მაქსიმალური 60) და ამდენივე არავერბალურად გამოხატული დადებითი უკუკავშირი (მინიმალური 0, მაქსიმალური 84).

ქალაქის სკოლებში მეტი იყო დადებითი ვერბალური უკუკავშირი, ვიდრე სოფლის სკოლებში, თუმცა განსხვავება არ იყო სტატისტიკურად სანდო. განსხვავება სანდოა სიტყვიერი უარყოფითი უკუკავშირის გამახატვის შემთხვევაში; უარყოფითი სიტყვიერი უკუკავშირი გამოიხატებოდა ტერმინებში: "არ არის სწორი", "გაასწორე", "მცდარია" და ა.შ. ხოლო არავერბალური – თავის გაქნევაში, შესაბამის მიმიკაში. სიტყვიერი უარყოფითი უკუკავშირის საშუალო რაოდენობა 3-ის (მინიმალური 0, მაქსიმალური 18) ტოლია, ხოლო არავერბალური უკუკავშირისა- 1-ის (მინიმალური 0,

მაქსიმალური 14). ქალაქის სკოლებში, სოფლის სკოლებთან შედარებით, მასწავლებლები იყენებდნენ უფრო მეტ უარყოფით უკუკავშირს.

კლასში არსებული სოციალური გარემო

სოციალური გარემოს შეფასება დაკვირვების მონაცემებისა და კლასში გამოყენებული სწავლება-შეფასების მეთოდებიდან გამომდინარე მოხდა. კვლევის მიხედვით საკლასო გარემოში ყველაზე ხშირად პრაქტიკა/ვარჯიში გამოიყენებოდა (60.7%); სწავლების ეს მიდგომა უფრო კონკურენტული გარემოსათვის არის დამახასიათებელი; აღსანიშნავია, რომ ასეთი აქტივობის დროს მასწავლებელი, ძირითადად, ცდილობდა მთელი კლასის ჩართვას საკლასო აქტივობაში, თუმცა მოსწავლეების მცირე ჯგუფი მაინც რჩებოდა ყურადღების მიღმა. მოსწავლეები ცდილობდნენ, რაც შეიძლება სწრაფად ეპასუხათ კითხვებზე ან გადაეჭრათ ამოცანა.

კვლევის მიხედვით, შემდეგი, ყველაზე ხშირად გამოყენებული სწავლების მეთოდია განხილვა/დისკუსია (18.35%), რაც უფრო თანამშრომლობითი სოციალური გარემოსთვის არის დამახასიათებელი; თუმცა გასათვალისწინებელია ის, რომ დისკუსია ძირითადად, მთელ კლასთან მიმდინარეობდა კითხვა-პასუხის ფორმატში და მას მასწავლებელი უძღვებოდა. ანუ ეს არ იყო ტიპური თანამშრომლობითი გარემო, თუმცა შეიცავდა თანამშრომლობითი გარემოს ელემენტებს.

შემდეგი მეთოდი, რომელიც კლასში გამოიყენებოდა, არის ჩუმი მუშაობა, რაც ინდივიდუალისტური სოციალური გარემოსთვის არის დამახასიათებელი. ამ დროს მოსწავლეები დასმულ ამოცანაზე ინდივიდუალურად, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მუშაობდნენ.

ამდენად, დაკვირვების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კლასში ძირითადად კონკურენტული სოციალური გარემო იყო; თუმცა პოზიტიურია ის, რომ კონკურენტული გარემოს დომინირების მიუხედავად, კლასში სხვა ტიპის გარემოც გვხვდებოდა.

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის საქართველოს საჯარო სკოლებში არსებული საკლასო ფიზიკური და სოციალური გარემოს შესახებ. როგორც კვლევამ აჩვენა, საქართველოს საჯარო სკოლებში ფიზიკური გარემო ტრადიციულ სწავლებას უფრო შეესაბამებოდა, ვიდრე აქტიურს. არაერთი კვლევა ადასტურებს რომ რიგებად განლაგებული, ერთ ადგილზე დაფიქსირებული მერხები უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლეების აქტიურობაზე (Higgins, 2005). მოსწავლეებს უზღუდავს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან ურთიერთობას. არანაკლებ მნიშვნელოვანია ხმაურის, განათების და ა.შ. რეგულირება და კონტროლი.

რეკომენდებულია, რომ საკლასო ოთახში სივრცე იყოს გახსნილი, ავეჯი ნაკლებ ბარიერებს ქმნიდეს, ადვილად და მარტივად შეიძლებოდეს მერხების გადალაგება ჯგუფური თუ ინდივიდუალური სამუშაოს შესაბამისად. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის კომუნიკაციის დამყარებას, მოქნილ ინტერაქციას, აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენებას. მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ საკლასო გარემო უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ სტრუქტურირებული სივრცე, სადაც ბავშვები დიდ დროს ატარებენ; ამ სივრცეში ყალიდება სოციალური კავშირები; ის უდიდეს გავლენას ახდენს მოსწავლეების ფსიქიკურ განვითარებაზე (Ellis, 2005), მათი იდენტობის ფორმირებაზე.

უმნიშვნელოვანესია საგაკვეთილო თემატიკის შესაბამისი სასწავლო, ვიზუალური მასალის უზრუნველყოფა და მასწავლებლების მხრიდან მათი ეფექტურად გამოყენება. კვლევამაც აჩვენა, რომ ეს საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ერთის მხრივ სახეზეა ვიზუალური მასალის სიმწირე, თუმცა მეორეს მხრივ პარადოქსულია, რომ მასწავლებლები ხელმისაწვდომ მასალს საგაკვეთილო პროცესში ნაკლებად იყენებდნენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწავლა სოციალური პროცესია, რის გამოც დიდი ყურადღება ექცევა კლასში ადეკვატური სოციალური გარემოს შექმნას. კვლევები ადასტურებს სოციალური კლიმატის კავშირს ისეთ ცვლადებთან, როგორცაა სტუდენტების მიღწევა, თვით-ეფექტურობა, მათი სოციალური და ემოციური განვითარება, და ზოგადად, სასკოლო ცხოვრების ხარისხი (Fraser, 1998; Frieberg, 1999).

ჩვენი კვლევის მონაცემების გათვალისწინებით რეკომენდებულია, რომ საკლასო ოთახებში სოციალური გარემო უფრო წამახალისებელი იყოს. სასურველია მასწავლებლებმა უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ თანამშრომლობითი სოციალური გარემოს შექმნას, მოსწავლეებს შორის კომუნიკაციის, დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის, ურთიერთსწავლის წახალისებას, რაც როგორც კვლევამ აჩვენა, არც თუ ისე გავრცელებული პრაქტიკაა. ხელის შემშლელ ფაქტორებს შორისაა კლასის სიდიდე, მოუხერხებელი ფიზიკური გარემო. გასათვალისწინებელია ის, რომ თანამშრომლობითი სოციალური გარემო ხელს უწყობს არა მხოლოდ ცოდნის შეძენას, არამედ მოსწავლეებში სოციალური და ინტერპერსონალური უნარების განვითარებას, რაც თანამედროვე განათლების სისტემის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

საგაკვეთილო პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს თავად მასწავლებელი ასრულებს. ამიტომ, მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მასწავლებელთა შესაძლებლობების გაძლიერებას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა ეფექტური კომუნიკაციის დამყარება, კლასის მართვა, რესურსების გამოყენება, სწავლება-შეფასება და ა.შ. გადატვირთული კლასების შემთხვევაში, ყველა მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართვა საკმაოდ რთულია. ამიტომ, მნიშვნელოვანია კლასების ზომის შემცირებასთან ერთად დაიგეგმოს მასწავლებელთა ტრენინგი დიდი ზომის კლასების მართვაში. ეს ყოველივე ხელს შეუწყობს მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართულობას გაკვეთილის პროცესში. ეფექტური საკლასო მენეჯმენტი არა მხოლოდ ეფექტური სწავლებისთვის არის უმნიშვნელოვანესი, არამედ მოსწავლეებში ისეთი უნარების განვითარებას უწყობს ხელს, როგორცაა თვითკონტროლი, დაგეგმვა, პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება და სხვა.

პოზიტიურია, რომ მასწავლებლები ზოგადად კეთილგანწყობილები იყვნენ და ცდილობდნენ მოსწავლეებისათვის თანაბარი ყურადღების მიქცევას. კვლევაში არ დაფიქსირდა ფიზიკური დასჯის არცერთი შემთხვევა, რაც შესაძლებელია, დამკვირვებლის კლასში ყოფნასაც უკავშირდებოდეს. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ემოციური (ფსიქოლოგიური) ზეწოლის, ანდა დისკრიმინაციის დახვეწილი ფორმების კვლევა არ მომხდარა, რაც დამატებით კვლევას საჭიროებს.

დამატებით ყურადღებას საჭიროებს კვლევის შედეგები, რომლის მიხედვით გაკვეთილების 1/4 მონოტონურად და უინტერესოდ შეფასდა, ხოლო დაახლოებით 6.3% ქაოტურად. მნიშვნელოვანია, რომ საგაკვეთილო პროცესი კარგად სტრუქტურურებული იყოს, როგორცაა, გაკვეთილის დაგეგმვა, დაწყება, საგაკვეთილო აქტივობების განხორციელება - სწავლება/შეფასება, გაკვეთილის შეჯამება და დაზუსტება - არის თუ არა ყველა საკითხი გასაგები.

კვლევამ აჩვენა, რომ გაკვეთილის პროცესში მოსწავლეებს ეფანტებათ ყურადღება და მცირდება მათი ჩართულობა, რაც მასწავლებლების მხიდან ყურადღების მიქცევას საჭიროებს. ამისათვის საჭიროა მასწავლებელმა გამოიყენოს მოსწავლეების მოტივირებისა და დაინტერესების მრავალფეროვანი მეთოდები.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სტატიკურ მხოლოდ კითხვების ტიპზე და პასუხის გასაცემად დათმობილ დროზეა აქცენტი გაკეთებული. კვლევაში დაფიქსირდა დახურული კითხვის სიჭარბე, რაც ნაკლებად საჭიროებს მოსწავლეების მხიდან მაღალი დონის შემეცნებითი უნარების გამოყენებას; ღია კითხვების დასმის შემთხვევაშიც მასწავლებლები მოსწავლეებს მცირე დროს აძლევდნენ, რაც ცხადია ხელს უშლის შეკითხვის გააზრებას, არგუმენტების ჩამოყალიბებას და ა.შ. ნაკლებად ხდებოდა კითხვების განხილვა ჯგუფებში. კვლევის მონაცემების საფუძველზე რეკომენდებულია იმგვარი კითხვების გამოყენება, რაც მოსწავლეების აზროვნების სტიმულირებას, მსჯელობის, არგუმენტების ჩამოყალიბების უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს და ასევე მოითხოვს დისკუსიას და ჯგუფებში მუშაობას. ასევე მნიშვნელოვანია მასწავლებლის მხიდან პოზიტიური უკავშირის მიცემა მოსწავლეების მსჯელობასა თუ შესრულებაზე, რაც დაკვირვების პროცესში ნაკლებად დაფიქსირდა.

ზოგადად, საკლასო პრაქტიკის თუ კლასის მართვის კვლევას მრავალმხრივი მიდგომა სჭირდება; ამიტომ, რეკომენდებულია საკლასო გარემოში ჩატარდეს არა ერთჯერადი დაკვირვება/კვლევა, არამედ რეგულარული კვლევები სასწავლო პროცესის განმავლობაში. ამგვარმა კვლევამ უნდა მოიცვას სწავლების პროცესის ფართო სპექტრი; მნიშვნელოვანია საგაკვეთილო პროცესის სხვადასხვა ასპექტების, მათ შორის ფიზიკური და სოციალური გარემოს რეგულარული კვლევის წახალისება და კვლევის შედეგების გამოყენება როგორც სასწავლო პროცესში, ასევე განათლების პოლიტიკის დაგეგმვის, მისი დანერგვის მისი შეფასების პროცესში. განათლების რეფორმა თუ ინოვაციური ინიციატივები, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, უნდა ითვალისწინებდეს და ეხმარებოდეს კლასში მიმდინარე პროცესებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ (2005). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
2. ეროვნული სასწავლო გეგმა (2011-16). ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
3. Bloom, B., Englehart, M., Hill., Furst., & Kratwohl, D. (1984). *Taxonomy of educational objectives: The classification of educational goals. Handbook 1: Cognitive domain*. New York: Longman Green.
4. Borich, G (2007). *Effective teaching methods. Research-based practice*. (sixth ed). Pearson Education
5. Cohen, E. G. (1994). Restructuring the classroom: Conditions for productive small groups. *Review of Educational Research*, 64(1), 1-36.
6. Eccles, J., Wigfield, A., & Schiefele, U. (1998). *Motivation to succeed*. In W. Damon (Series Ed.) & N. Eisenberg (Vol. Ed.) *Handbook of Child Psychology 5th ed.*, (Vol. 3) New York: Wiley.
7. Fullan, M. (2001). *The new meaning of educational change*. New York: Teachers College Press.
8. Glawson, J. G., & Haskins, M. E. (2006). *Teaching management. A field guide for professors, consultants, and corporate trainers*. Cambridge University Press.

9. Kagan, S. (1992). *Cooperative learning*. San Juan Capistrano, CA: Resources for Teachers.
10. Labaree, D. F. (1998). Educational researchers: Living with a lesser form of knowledge. *Educational Researcher*, 27, 4-12.
11. Osakwe, R. N. (2006). *Understanding teaching profession*. Osasu Series in Education. Benin City: University of Benin.
12. Ryan, A. M., & Patrick, H. (2001). The classroom social environment and changes in adolescents' motivation and engagement during middle school. *American Educational Research Journal*, 38, 437-460.
13. Stewart, S. C. & Evans, W. H. (1997). Setting the stage for success: Assessing the instructional environment. *Preventing School Failure*, 41(2), 53-56.
14. Tyack, D. B., & Cuban, L. (1995). *Tinkering toward utopia: A century of public school reform*. Cambridge, MA: Harvard University Press.
15. Walker, H. M. & Walker, J. E. (1991). *Coping with noncompliance in the classroom: A positive approach for teachers*. Austin, TX: Pro-Ed.

Article received: 2013-12-18